ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის ლუწი მ/რ
მაჟორიტარი წევრის,
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის,
განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის,
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრის

გულია გოცირიძის

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის #26-113 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 1 გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის“ (დანართი 2) შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია:

- 2017 წლის 14 ნოემბრიდან მეექვსე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის;
- განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

- **ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:**

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 და ბიუროს 28 სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა 127 დადგენილება და 397 განკარგულება. გაცდენა მხოლოდ 3 სხდომაზე.

• **ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ 33 სხდომა. საერთო ჯამში განხილული იქნა 53 საკითხი. ჩემს მიერ შესწავლილი იყო 39 საკითხი.

- **ინფორმაცია განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებში მონაწილეობის შესახებ**

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა განათლებისა და კულტურის კომისიის 22 სხდომა, რომელზეც დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 30 საკითხი განიხილეს.

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით მონაწილეობა მივიღე განათლებისა და კულტურის კომისიის 18 სხდომაში და განვხილე დღის წესრიგებით გათვალისწინებული 23 საკითხი, მათ შორის:

1. **17 ნოემბერი, 2017 წელი**
   1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031731944-03);
   2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის დანიშვნის თაობაზე თანხმობს მიცემის შესახებ (19-031732038-03).
2. **20 ნოემბერი, 2017 წელი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#12-031731434-03; 10.11.2017).

3. **5 დეკემბერი, 2017 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031733421-03; 30.112017).

4. **16 იანვარი, 2018 წელი**
   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების შერწყმა; (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება და საშტატო ნუსხა).

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობების ტიპური დებულება და საშტატო ნუსხა.

5. **16 თებერვალი, 2018 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0318044124-03).

6. **21 თებერვალი, 2018 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვა (12-031804637, 15.02.2018).

7. **6 მარტი, 2018 წელი**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების თაობაზე“ (12-03180607-03; 01.03.2018);
2. ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებისთაობაზე (12-03180531-03; 22.02.2018):

ა) ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის ღონისძიებები“ (08.05), „შემოქმედებითი თბილისი“ (08.09) დ „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (08.13) განხორციელების წესები (12-03180531-03; 22.02.2018);

ბ) ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (07.04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროქტების ხელშეწყობა“ (07.02.01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (07.05.01), „სპორტული ღონისძიებები“ (08.06.01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (08.08.01) განხორციელების წესი (12-03180531-03; 22.02.2018);

გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (07.05.03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალური დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხები (12-03180531-03; 22.02.2018).

8. **15 მარტი, 2018 წელი**

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ანგარიში განხორციელებული სამუშაოების შესახებ (22.11.2017 – 22.02.2018).

9. **30 მარტი, 2018 წელი**

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილი: №12-03180797-03; 20.03.2018).

10. **13 აპრილი, 2018 წელი**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების საკითხი;
3. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადება ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.

11. **31 მაისი, 2018 წელი**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშის განხილვა;

12. **12 ივნისი, 2018 წელი**

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთადაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-031815226-03; 01.06.2018).

13. **25 ივნისი, 2018 წელი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - ,,კულტურული ღონისძიებები'' (კოდი: 08 05) - ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა.

14. **20 ივლისი, 2018 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

15. **17 აგვისტო, 2018 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ალექსანდრე ტოგონიძის (პ/ნ 01024044237) დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (N12-031822769-03).

16. **25 სექტემბერი, 2018 წელი**

სსიპ ქალაქ თბილისის 106-ე საჯარო სკოლისთვის ზურა იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე (19/031826467-03; 24.09.2018).

17. **4 ოქტომბერი, 2018 წელი**

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.

18. 22 ოქტომბერი, 2018 წელი

1.1. „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

1.2. „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

- **სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შეჯამება;**

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს 2018 წლის განმავლობაში წარმოადგენდა კომისიის მიერ დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის მიერ განისაზღვრა კონკრეტული მიმართულებები,რომელთა შესრულებაც მთავარ პრიორიტეტად იქნა მიჩნეული, 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის სექტემბრის ჩათვლით ჩატარებული სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 21 სხდომიდან დავესწარი კომისიის 17 სხდომას. ჩემს მიერ განხილული და შესწავლილი საკითხების რაოდენობაა 145.

- **გულია გოცირიძის აქტივობები სამაჟორიტალო ოლქში**

1. გულია გოცირიძემ პარკის მიმდინარე მშენებლობა დაათვალიერა

08 ნოემბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა წევრმა გულია გოცირიძემ საქართველოს პარლამენტის ამავერაიონის მაჟორიტარ დეპუტატებთან - ლევან კობიაშვილთან და კობა კობალაძესთან, ასევე გლდანის რაიონის გამგებელთანბექა მიქაუტაძესთან და ქალაქის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსთან გიგა გიგაშვილთან ერთადსამაჟორიტარო ოლქში, მე–6 მიკრო რაიონში მშენებარე პარკის მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

პარკი, რომელიც დასასვენებელი და გასართობი ობიექტებით დაიტვირთება, 3000 კვ.მეტრზე გაშენდება და მისი პროექტისღირებულება, დაახლოებით 1000 000 ლარით განისაზღვრება.

აღნიშნული პარკის მშენებლობა, როგორც გულია გოცირიძის წინასაარჩევნო დაპირება, დეპუტატის ინიციატივითა დაშუამდგომლობით ხორციელდება.

2. გულია გოცირიძის ინიციატივით, გლდანში გამწვანების აქცია გაიმართა

26 ოქტომბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ გამწვანების აქცია გამართა, რომელშიც კერძო სკოლა ,,ლომისის“ მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ღონისძიების ფარგლებში, გლდანის მე–2 მიკრორაიონის, 41–ე კორპუსთან, 300 კვადრატულ მეტრზე, 53 ნერგი მარადმწვანე ხე და 5 ძირი მუხა დაირგო.

დეპუტატის ინიციატივით, საშემოდგომო გამწვანების აქციები კვლავ გაგრძელდება, სადაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას.

3. გულია გოცირიძემ მოსახლეობას წლის ანგარიში გააცნო

23 ოქტომბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარმა წევრმა გულია გოცირიძემ, მის სამაჟორიტაროოლქში მცხოვრებ მოსახლეობას საკუთარი საქმიანობის წლიური ანგარიში წარუდგინა.

დეპუტატმა რაიონის მცხოვრებლებს დედაქალაქის მერიის, გლდანის რაიონის გამგეობისა და სხვა მუნიციპალური სამსახურებისმიერ 2018 წლის განმავლობაში მისი შუამდგომლობით განხორციელებული პროექტების თაობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

დღესვე დეპუტატმა რაიონში ჩატარებული სამუშაოების შესახებ მოსახლეობის აზრი მოისმინა და დასმულ შეკითხვებსამომწურავი პასუხები გასცა.

გულია გოცირიძემ განხორციელებულ პროექტებთან ერთად რაიონის მცხოვრებლებს სამომავლო გეგმები გააცნო და მათ მეტიჩართულობისკენ მოუწოდა.

ანგარიშის წარდგენისას მაჟორიტარმა ასევე დედაქალაქის საკრებულოში მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებისაუბრა და გლდანის მცხოვრებლებს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

4. გულია გოცირიძე გლდანში პარკის მშენებლობის სამუშაოებს გაეცნო

11 ოქტომბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო-რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე მე-6 მ/რ-ში პარკის მშენებლობის მიმდინარე სამუშაოს გაეცნო. გასართობის სივრცე 2000 კვ.მეტრზე გაშენდება და ყველა სახის გასართობი საშუალებით დაიტვირთება, ავტომობილებითვის პარკინგი მოეწყობა.

,,ჩემი წინასაარჩევნო დაპირება მოსახლეობისთვის ქალაქის მერიას სისრულეში მოჰყავს, რისთვისაც მადლიერები არიან ადგილობრივები. აქ ყველა საშუალებაა როგორც დიდების, ასევე პარატების დასვენებისა და გართობისათვის; მონტაჟდება ტრენაჟორები, ეწყობა პარკურის, საკალათბურთო და საფეხბურთო მოედანები, საკონცერტო ამფითეატრი, საჭიდაო არენა, კეთდება ძაღლების სასეირნო ბილიკი,“ - აღნიშნა გულია გოცირიძემ.

5. გულია გოცირიძე კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდა

09 ოქტომბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო-რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი, გულია გოცირიძე გმირ კურსანტთა #27-ში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

მოსახლეობის თქმით, მას შემდეგ, რაც 2015 წელს, კორპუსთან მისასვლელი ბეტონის გზა დაიგო, დღის ნებისმიერ მონაკვეთში ავტომობილების გამჭოლი მოძრაობაა, რაც საფრთხეს უქმნის ეზოში მოთამაშე ბავშვებს.

მაჟორიტარ დეპუტატს დევნილებმა მიმდებარე ტერიტორიაზე შემოვლითი გზის მშენებლობის და შლაგბაუმის დამონტაჟების თხოვნით მიმართეს.

გულია გოცირიძის შუამდგომლობით, შეხვედრაზე თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები მიიწვიეს. ისინი ადგილზე გაეცნენ შექმნილ ვითარებას და პრობლემის გადასაჭრელად სამოქმედო გეგმა დასახეს.

6. გულია გოცირიძემ დამსახურებულ პედაგოგს მასწავლებლის დღე მიულოცა

05 ოქტომბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო-რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატმა, გულია გოცირიძემ მის სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ დამსახურებულ პედაგოგს, 79 წლის ნატა პირველს, მასწავლებლის დღე მიულოცა.

გულია გოცირიძე პედაგოგს სახლში ეწვია და მის ბიოგრაფიას გაეცნო. ნატა პირველი 55 წლის მანძილზე მუშაობდა დაწყებითი კლასების პედაგოგად. ის წლების განმავლობაში იყო 160–ე და 184–ე სკოლების დირექტორი. დეპუტატმა პედაგოგს ჯანმრთელობა უსურვა.

დამსახურებულმა მასწავლებელმა მაჟორიტარ დეპუტატს ეზოში სკვერის მოწყობის თხოვნით მიმართა.

7. გულია გოცირიძე მაისურაძის ქუჩის მცხოვრებლებს შეხვდა

05 ოქტომბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო-რაიონების მაჟორიტარის გულია გოცირიძისწამომადგენლობის ოფისში, ოთხშაბათის ტრადიციულ შეხვედრაზე დეპუტატთან, თეთრი ტბისა და მაისურაძის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა მოვიდა. შეხვედრაზე მოქალაქეთა მხრიდან წამოჭრილი საკითხი მათ ქუჩაზე მიმდინარე გზის მშენებლობასა და მიწების დაკანონებას ეხებოდა.

დღეს, დეპუტატი ადგილზე გაეცნო შექმნილი ვითარებას. ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვს გზის მშენებლობის პროექტში საფეხმავლო ბილიკის დამატებას, რომელიც ახლოს მდებარე სკოლას დაუკავშირდება და უამინდობისას შექმნილ პრობლემას მოხსნის.დეპუტატმა ასევე დაათვალიერა ის მიწის ნაკვეთები, რომლის დაკანონება სურთ მოსარგებლეებს.

გულია გოცირიძემ მოსახლეობასთან ერთად განიხილა აღნიშნული საკითხები და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელა. მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

8. გლდანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ 11 ოჯახს ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია მიეწოდება

04 ოქტომბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის შუამდგომლობით, გლდანის დევნილთადასახლებაში მცხოვრებ 11 ოჯახს ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია მიეწოდება.

გულია გოცირიძის მიმართვის შემდეგ, კომპაქტურ ჩასახლება ,,აფხაზეთში“ მცხოვრები 11 ოჯახის გაზიფიცირების პროცესი დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სრულად დააფინანსა. კომპანია ,,თელასმა “ კი მოსახლეობას შეღავათები დაუწესა. ახალმა აბონენტებმა, პირველ ეტაპზე სერვისის ღირებულების 50% გადაიხადეს, დარჩენილ თანხას კი ეტაპობრივად დაფარავენ.

,,გმირ კურსანტების # 27-ში ოთხსართულიანი კორპუსი მდებარეობს, რომლის პირველ, მეორე და მესამე სართულს ბუნებრივიაირი და ელექტროენერგია მიეწოდებოდა, ხოლო მეოთხე სართულზე მცხოვრები თექვსმეტი ოჯახი ბუნებრივი აირისა დაელექტროენერგიის გარეშე იყო დარჩენილი. დღეს ჩვენ შევძელით 11 ოჯახის დაკმაყოფილება, დარჩენილია ხუთი და მათიაბონენტებად დარეგისტრირება საცხოვრებელი ბინის დოკუმენტაციის მოგვარების შემდეგ მოხდება ,“ - განაცხადა გულიაგოცირიძემ.

9.

17 ოქტომბერი 2018

დეპუტატმა გულია გოცირიძემ, დეპუტატ შალვა ოგბაიძესთან, გლდანის რაიონის გამგებელ ბექა მიქაუტაძესთან, გამგებლის მოადგილეებთან, აფხაზეთის ომის ვეტერანებთან და დღის ცენტრ ,,იას" ბენეფიციარებთან ერთად, ვეტერანების დღე აღნიშნა და გლდანში მდებარე საქართველოს ერთიანობისთვის ომში დაღუპულ მეომართა მემორიალი ყვავილებით შეამკო.

10.

27 სექტემბერი 2018

გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატებმა გულია გოცირიძემ, კობა კობალაძე და გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ, აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომრებს პატივი მიაგეს.

11.

17 სექტემბერი 2018

გლდანის რაიონში ორი ახალი N53 და N57 საბავშვო ბაგა–ბაღი გაიხსნა. გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატებმა გულია გოცირიძემ, ლევან კობიაშვილმა, ოთარ გრიგოლიამ და გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს აღსაზრდელებსა და პედაგოგებს. ბაგა–ბაღები აშენებულია თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, აქ ყველა პირობაა შექმნილი მოზარდთა განვითარებისა და გართობისათვის. თითოეულ საბავშვო ბაღში 350 აღსაზრდელია.

12.

9 აგვისტო 2018

დეპუტატი გულია გოცირიძის წარმომადგენლობამ სამაჩაბლოს ომში დაღუპული ჯარისკაცების საფლავები ყვავილებით შეამკო.

13. სკოლაში ,,ლომისი“ აფხაზეთის ომის გმირები გაიხსენეს

28 სექტემბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის უშუალო ჩართულობითა დამონაწილეობით, კერძო სკოლაში -,,ლომისი“ 27 სექტემბრისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული ღონისძიება -,,აფხაზეთი არდაცემულა“ მოეწყო.

გულია გოცირიძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აფხაზეთის ომის გმირები კიდევ ერთხელ გაიხსენა.

,,ეს ბიჭები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ომში უყოყმანოდ წავიდნენ.

ბევრი ჩვენგანი მათი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები და ახლობლები ვართ. საქართველო ყოველთვის იამაყებს ამბიჭებით და ქართველი ხალხი მათ სახელებს არასდროს დაივიწყებს''-აღნიშნა დეპუტატმა.

ღონისძიებას სკოლის აღსაზრდელები, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მწერლები, პოეტები, პედაგოგები დადაღუპულ მეომართა ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

14. გლდანის რაიონში ახალი სკვერი გაიხსნა

27 სექტემბერი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატმა, გულია გოცირიძემ და გლდანის რაიონისგამგებელმა, ბექა მიქაუტაძემ სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის წინ, აკაკი ვასაძის ქუჩაზესკვერი გახსნეს

1900 კვ.მ ფართობზე გაშენდა ხეივანი და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. გლდანის რაიონის გამგეობამ სკვერისმოსაწყობად 174 200 ლარი გამოყო.

„წლების მანძილზე ამ სახელოვანი თეატრის წინ მოუწყობელი სივრცე არსებობდა, რაც მოქალაქეებს თეატრის შენობის აღქმისსაშუალებას არ აძლევდა. ჩვენ გვინდა, რომ ეს თეატრი და სკვერი გლდანის რაიონის სავიზიტო ბარათად იქცეს. უკვედაგეგმილია მრავალი ღონისძიება, რაც გაახალისებს და მეტ სიცოცხლეს შესძენს ჩვენს რაიონს“, - განაცხადა გულიაგოცირიძემ.

სკვერის გახსნაზე გლდანის პროფესიული მომზადების კოლეჯის სტუდენტთა ნამუშევრები იყო გამოფენილი.

15. გულია გოცირიძის ინიციატივით, მოსახლეობას უფასო კვლევები ჩაუტარდა

07 სექტემბერი 2018

გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის ინიციატივით, კლინიკა ,,გიდმედის'' ტკივილისმართვის ცენტრში 20 მოქალაქეს ხერხემლის დაავადებათა უფასო კვლევა ჩაუტარდა.

როგორც გულია გოცირიძემ აღნიშნა, ხერხემლის გამრუდება 21-ე საუკუნის დაავადებაა და ის დროულ მკურნალობასსაჭიროებს.

,,დღეს აქ წარმოდგენილია, როგორც ხანში შესული, ისე მოზარდი თაობა. სამწუხაროდ, ყველა მოქალაქე, ვინც ხერხემლის უფასო კვლევის მოთხოვნით მოგვმართა, ამჟამად ვერ დავაკმაყოფილეთ. თუმცა, მგავსი აქციების გაგრძელების მიზნით, ჩვენ შემდგომი თანამშრომლობისთვის მემორანდუმის გაფორმებას ვგეგმავთ'',-განაცხადა საკრებულოს წევრმა.

კვალიფიციურმა და გამოცდილმა სპეციალისტებმა პაციენტებს თანამედროვე მეთოდებით ისეთი დაავადებების კვლევაჩაუტარეს, როგორებიცაა:

ხერხემლის დაავადებები; სქოლიოზი; ოსტეოქონდროზი; კისრის რადიკულიტი, კისრის შაკიკი; მხარბეჭის დისტროფიულიპერიართრიტი; კისრის, გულმკერდის და წელის მიდამოს მალთაშორისი დისკების თიაქარი; გავა-წელის რადიკულიტი, ლუმბაგო,ლუმბოიშიალგია, კუდუსუნის ძვლის ართროზი. გულია გოცირიძის თქმით, უახლოეს მომავალში აქციები კვლავაც გაგრძელდება და უფასო კვლევის სერვისით კიდევ არაერთი მოქალაქე ისარგებლებს.

16. გულია გოცირიძის წარმომადგენლობამ 2008 წლის აგვისტოს ომის ვეტერანები მოინახულა

08 აგვისტო 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის, გულია გოცირიძის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა დეპუტატის სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრები ომის ვეტერანები მოინახულეს.

ზურაბ თარიმანაშვილსა და შინდისის ბრძოლის მონაწილე ბერდია ქოზაშვილს, გულია გოცირიძის წარმომადგენლობის თანამშრომლები სახლში ესტუმრნენ და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

17. გულია გოცირიძის შუამდგომლობით უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა

30 ივლისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრორაიონების მაჟორიტარი დეპუტატის, გულია გოცირიძის შუამდგომლობით კლინიკა ,,მედიკმა“ უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაატარა.

აქციის ფარგლებში, მაჟორიტარის ოლქში მცხოვრებ 65 მოქალაქეს სისხლში შაქრის და ქოლესტერინის მაჩვენებლის კვლევა ჩაუტარდა, ასევე შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციები გაეწიათ.

როგორც გულია გოცირიძემ აღნიშნა, მაჟორიტარის ბიუროს მოქალაქეები ხშირად აკითხავენ უფასო სამედიცინოგამოკვლევების თხოვნით. ამიტომ დეპუტატის შუამდგომლობით აღნიშნული აქციები სექტემბრის თვიდან მასშტაბურ სახეს მიიღებს და პერმანენტულად ჩატარდება.

18. გულია გოცირიძემ გლდანში სავარჯიშო ტრენაჟორების მოედნები დაათვალიერა

26 ივლისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გულია გოცირიძემ საქართველოს პარლამენტის გლდანის რაიონის მაჟორიტართან, კობა კობალაძესთან და ამავე რაიონის გამგებელთან, ბექა მიქაუტაძესთან ერთად გლდანში ფიტნეს ზონების დასრულებული სამუშაოები დაათვალიერა.

გლდანის რაიონის გამგეობა ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას განაგრძობს. ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, მიმდინარე წელს რაიონის მასშტაბით 12 სპორტულ - გამაჯანსაღებელი ზონა მოეწყო.

ამჯერად, ფიტნეს ზონები ანდრონიკაშვილის პირველ შესახვევში არსებულ სკვერში, გლდანის „ა“ მ/რ-ის N62-63 კორპუსების, ვეკუას ქუჩა N10 კორპუსისა და გლდანის მე-3 მ/რ-ის N68ა-68ბ კორპუსების მიმდებარედ განთავსდა.

19. გულია გოცირიძემ მრავალშვილიანი დედები სალონში მიიწვია

24 ივლისი

გლდანის რაოინის მაჟორიტარი დეპუტატ გულია გოცირიძის ინიციატივითა და მხარდაჭერით მრავალსვილიან დედებს სილამაზის სალონმა ,,პოდიუმმა“ უმასპინძლა.

დედებმა თავიანთი სურვილის მიხედვით, სალონში მიიღეს ყველა სახის მომსახურება.

მრავალშვილიანებს მათთვის სასურველ დროს, 3 თვის განმავლობაში, აღნიშნულ სალონში, შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელიც გულისხმობს: თმის შეჭრასა და შეღებვას, დავარცხნას, მანიკიურსა და პედიკურს.

აქცია მრავალჯერადია და გლდანის რაიონის მრავალშვილიან ოჯახებს მთლიანად მოიცავს.

20. გულია გოცირიძის შუამდგომლობით უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა

06 ივლისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარი დეპუტატის, გულია გოცირიძის შუამდგომლობით უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა.

აქციის ფარგლებში მაჟორიტარის ოლქში მცხოვრებ 47 მოქალაქეს ჩაუტარდა მუცლის ღრუს ექოსკოპიური კვლევა, ასევე მოქალაქეებს შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციები გაეწიათ.

როგორც გულია გოცირიძემ აღნიშნა, მაჟორიტარის ბიუროს მოქალაქეები ხშირად აკითხავენ უფასო სამედიცინო გამოკვლევების თხოვნით. ამიტომ დეპუტატის შუამდგომლობით აღნიშნული აქციები პერმანენტულად ტარდება.

21. გულია გოცირიძის ინიციატივით გლდანში ახალი პარკი მოეწყობა

05 ივლისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატმა, გულია გოცირიძემ, თბილისის მერთან, კახა კალაძესთან და გლდანის რაიონის გამგებელთან, ბექა მიქაუტაძესთან ერთად გლდანის მეექვსე მიკრო რაიონში სკვერის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა, მეექვსე მიკრო რაიონში მეშვიდე და მეორე კორპუსებს შორის არსებულ სივრცეში სკვერის მოწყობა მისი წინასაარჩევნო დაპირება იყო და ახლა მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებას ასრულებს.

„აქ დაიდგმება ატრაქციონები, მოეწყობა დასასვენებელი და გასართობი სივრცეები, ასევე ტერიტორია გამწვანდება. პროექტი დაახლოებით ოთხ თვეში დასრულდება“, - განაცხადა გულია გოცირიძემ.

პარკი 20 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყობა. სამუშაოების ფარგლებში, ტერიტორიაზე დაირგვება სხვადასხვასახეობის ხე-მცენარეები და 12 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, ჰიდროთესვის პრინციპით, ბალახი დაითესება. პარკში ასევე, ამბრის ხეებისგან ხეივანი მოეწყობა.

22. გულია გოცირიძე გლდანში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე მოსახლეობასთან ერთად მუშაობს

29 ივნისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრორაიონების მაჟორიტარი დეპუტატი, გულია გოცირიძე მის სამაჟორიტარო ოლქში მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს. მაჟორიტარი რაიონში არსებულ პრობლემებს ადგილზე ეცნობა და შესაბამის სამსახურებთან შუამდგომლობის საშუალებით მოსახლეობას პრობლემების გადაჭრაში ეხმარება.

როგორც გულია გოცირიძემ აღნიშნა, მოსახლეობა მას ძირითადად კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების თხოვნით მიმართავს, ხოლო დეპუტატი პრობლემების გადაწყვეტის გზებს თავად მოსახლეობასთან შეთანხმების საფუძველზე სახავს.

მაჟორიტარის თქმით, მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება, რათა მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა რაც შეიძლება დროულად მოხდეს.

24.

29 ივნისი •

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე, მისივე წარმომადგენლობასთან ერთად, რაიონში არსებულ პრობლემებს ადგილზე ეცნობა. ამჯერად დეპუტატი გლდანის ე.წ დევნილთა დასახლებაში, გმირ კურსანტთა ქუჩის 22-ე კორპუსის მაცხოვრებლებს შეხვდა. აღნიშნულ მისამართზე პერიოდულად ხდება სასმელი წყლის წყვეტა, ასევე შესაკეთებელია საკანალიზაციო მილები, საიდანაც ფეკალური მასები სარდაფში ჩაედინება.

გულია გოცირიძის ინიციატივით, ადგილზე მივიდნენ წყლის კომპანია GWP-ის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გლდანის რაიონის გამგეობის ლუწი მიკრო რაიონების საუბნო სამსახურის წარმომადგენლები.

მოკვლევის ჩატარების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ წყლის მიწოდების წნევა დაბალია და ამისთვის საჭიროა მთლიანად კორპუსის გამრიცხველიანება. მოსახლეობას აღნიშნული სამუშაოს ჩატარება შესაბამისმა სამსახურებმა შესთავაზეს. პრობლემის მოგვარება უახლოეს პერიოდში დაიგეგმა.

24.

29 ივნისი •

გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე მე-6 მ/რ-ის მე-15 კორპუსის მაცხოვრებლებს შეხვდა. მან ადილზე გაიცნო პრობლემები: კორპუსს დაზიანებული კიბის გამოცვლა და ეზოს მოასფალტება ჭირდება. ქ-ნი გულია გოცირიძე ადგილობრივებს პრობლემების მოგვარებაში დახმარებას და თანადგომას დაპირდა. ასევე, მოსახლეობა დაინტერესებული იყო კორპუსის ამხანაგობების თავმჯდომარის არჩევის წესით. აღნიშნულ საკითხზე დეპუტატმა ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა მოქალაქეებს.

25.

26 ივნისი •

გლდანის ლუწი მიკრო რაიონების დეპუტატი გულია გოცირიძე, მისსავე სამაჟორიტარი ოლქში, გმირი კურსანტების მეორე შესახვევის N3 კორპუსის მიმდებარედ ახალი სპორტული მოედნის მოწყობის მიმდინარე სამუშაოებს გლდანის რაიონის გამგებელ ბექა მიქაუტაძესთან და პარლამენტის დეპუტატ კობა კობალაძესთან ერთად დაესწრო. რის შემდეგაც ადგილობრივი მაცხოვრებლების პრობლემები მოისმინეს. წარმომადგენლობის თანამშრომლებმა ჩაინიშნეს საკითხები. დეპუტატები მოსახლეობას რიგ უწყებებთან შუამდგომლობებით, კანონის ფარგლებში, პრობლემები გადაიჭრას დაპირდნენ.

26.

26 ივნისი •

დეპუტატი გულია გოცირიძე ამჯერად გმირ კურსანტთა N1 მაცხოვრებლებს შეხვდა. მოსახლეობა კმაყოფილია მათ ეზოში კანალიზაციის ქსელის მწყობით, მაგრამ აქვე აღნიშნეს მათი ყველაზე დიდი და ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემა. მათ არ აქვთ ბინები დაკანონებული, რასაც წლების მანძილზე ითხოვენ. აქვთ სახურავის განახლების, ეზოს მოთიბვისა და სხვა პრობლემები. დეპუტატი მათ საქმის ვითარებაში ზედმიწევნით გარკვევას და კანონის ფარგლებში თანადგომას დაპირდა.

27. გულია გოცირიძის შუამდგომლობით შშმ მოზარდი ურეკში გაემგზავრა

25 ივნისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო-რაიონების მაჟორიტარი დეპუტატის, გულია გოცირიძის შუამდგომლობით, ცერებრალური დაავადების მქონე 3 წლის გიორგი წიკლაური დაბა ურეკში გაემგზავრა. სადაც მას დასვენებასთან ერთად სამკურნალო მასაჟები და შესაბამისი პროცედურები ჩაუტარდება.

გიორგი წიკლაურს მხოლოდ დედა ზრდის, ოჯახი სოციალურად დაუცველია.

გიორგის დედამ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამის" არსებობის შესახებ გვიან შეიტყო, ამიტომ დასახმარებლად მაჟორიტარს მიმართა. ვინაიდან დეპუტატის წარმომადგენლობაში მსგავსი პროგრამების განსახორციელებლად თანხა არ ირიცხება, ამიტომ გულია გოცირიძემ, ერთ-ერთ კომპანიას მიმართა თხოვნით, მონაწილეობამიეღო გიორგი წიკლაურის დასვენებისა და გაჯანსაღების დაფინანსებაში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ თანხმობა განაცხადა და გიორგი დედასთან და ბებიასთან ერთად ურეკში გაემგზავრა. გამგზავრებამდე კომპანიის დირექტორმა გიორგი თავის მეგობრებთან ერთად, საბავშვო გასართობ ცენტრში მიიწვია და უმასპინძლა.

28.

23 ივნისი •

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე, რაიონში არსებულ პრობლემებს ადგილზე ეცნობა. ამჯერად დეპუტატი გლდანის მე-6 და ,,ა" მიკრო რაიონების ოთხი კორპუსის მცხოვრებლებს შეხვდა. მე-6 მიკროს, N6 კორპუსში, (როგორც მას მოსახლეობა უწოდებს ,,აფეთქებული კორპუსი"), გაეცნო იმ ადამიანებს და მათ საცხოვრებელ პირობებს, რომლებიც 2015 წლის ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად დაზარალდნენ. ადგილობრივები კმაყოფილები არიან მერიის მიერ ჩატარებული სამუშაოებით; ამჟამად კორპუსის უკანა მხარეს სანიაღვრის მოწყობას ითხოვენ. იგივე პრობლემა აქვს გადასაჭრელი იქვე მდებარე N2 კორპუსსაც. მათ ასევე სურთ სახურავის განახლება და ეზოს გათიბვა.

,,ა" მ/რ-ის N56 და N58 კოპრუსებს, გარდა იმისა, რომ ეზოები აქვთ გასათიბი, მოითხოვენ სადარბაზოს რემონტსა და აღნიშნულ კორპუსებს შორის მდებარე სკვერში განათების მოწყობას.

დეპუტატმა მოისმინა ყველა პრობლემა და მოსახლეობასთან შეთანხმებით, მათი მოგვარების გზები დასახა.

29.

20 ივნისი •

დეპუტატი გულია გოცირიძე მისივე სამაჟორიტარო ოლქში, პატარა ტბის ქუჩაზე მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა. მათი ძირითადი მოთხოვნა სახლების დამტკიცებას და მიწის ლეგალიზაციას შეეხებოდა. დეპუტატი გაეცნო მათ მოთხოვნებს და აღნიშნული საკითხის მოგვარებაში თანადგომას დაპირდა.

28. გულია გოცირიძე 205-ე საჯარო ბაგა-ბაღში გამართულ ზეიმს დაესწრო

19 ივნისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო-რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე, რაიონში არსებული 205-ე საბავშვო ბაგა-ბაღის გამოსასშვებ საღამოს დაესწრო. მოწვეულ სტუმრებს აღსაზრდელებმა თავიანთი შემოქმედება აჩვენეს.

ღონისძიებას ასეცე გლდანის კენტი მიკრო რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი ოთარ გრიგოლია, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი კახაბერ გვანცელაძე და გლდანის გამგებელი ბექა მიქაუტაძე ესწრებოდნენ

19 ივნისი

ქალაქის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ, გლდანის რაიონის გამგებელთან, ბექა მიქაუტაძესთან ერთად, მის სამაჟორიტარო ოლქში, მეოთხე მიკრო რაიონის N109 კორპუსის მიმდებარედ, გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები დაათვალიერა. აქ ასფალტის საფარი 1 100 კვ.მ ფართობზე იგება, ეწყობა ბორდიურები.

სამუშაოებს შპს „როუდ სოლუშენი“ ახორციელებს.

29. გულია გოცირიძის ინიციატივით, შშმ პირთა ნამუშევრების გამოფენა–გაყიდვა გაიმართა

13 ივნისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის, გულია გოცირიძის ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობისმქონე პირთა დღის ცენტრის ,,ია“ ბენეფიციართა ნამუშევრების გამოფენა–გაყიდვა გაიმართა.

გამოფენაზე შშმ პირებმა მათ მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ნამუშევრები-ნაქარგი და ნაქსოვი ნივთები, ნახატები, ასევე გობელენი და ბისერების სამკაული წარმოადგინეს. ,,ჩვენი დღევანდელი ღონისძიების მიზანი ორგანიზაციისთვის თანადგომის გამოხატვა და ნამუშევრების გაყიდვის შედეგადშემოსული თანხით მათთვის გარკვეული დახმარების გაწევაა'', –განაცხადა გულია გოცირიძემ და ცენტრის ბენეფიციარებსსაკრებულოს წევრებთან ერთად სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ღონისძიებას, რომელიც ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ გაიმართა, თბილისის საკრებულოსა და მერიის, ასევე გამგეობების წარმომადგენლები და ბიზნესმენები ესწრებოდნენ.

30. გულია გოცირიძის ინიციატივით უფასო სამედიცინო კვლევები ჩატარდა

08 ივნისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრორაიონების მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის ინიციატივით, კლინიკა ,,მედიკმა“ მოსახლეობის უფასო სამედიცინო კვლევა ჩაატარა.

აქციის ფარგლებში, მოსახლეობას ჩაუტარდა გულის ექოსკოპია და კარდეოლოგიური კვლევები, გაკეთდა სისხლის საერთო ანალიზები, მუცლის ღრუს გამოკვლევა, ასევე შაქრისა და ქოლესტერინის რაოდენობის განსაზღვრა სისხლში.

აქციაში ჩაერთო და გამოკვლეული იქნა დეპუტატის სამაჟორიტარო ოლქიდან 57 მოქალაქე. მოსახლეობის მოთხოვნით, მსგავსი ღონისძიების ჩატარებას დეპუტატი კვლავ გეგმავს.

31. გულია გოცირიძე გლდანში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

07 ივნისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების დეპუტატი გულია გოცირიძე თავის სამაჟორიტარო ოლქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

მაჟორიტარმა გლდანის ,,ა" მიკრო რაიონში, ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა. აღნიშნულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა 1200 კვ/მ ფართობზე მიმდინარეობს. სამუშაოების ფარგლებში გაკეთდება ბორდიურები, დასავენებელი სკამები,

დამონტაჟდება მოაჯირები და განათება, მოწესრიგდება მიწისქვეშა კომუნიკაციები და მოეწყობა სამელიორაციო სისტემა.

სამუშაოებს შპს ,,გრინსერვის+" ახორციელებს.

სკვერის დასრულება მიმდინარე წლის სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.

32. გულია გოცირიძემ თვალის დაავადებების კვლევის მორიგი უფასო აქცია გამართა

22 მაისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის ინიციატივით, მოქალაქებისთვის თალის დაავადებების გამოკვლევების კიდევ ერთი აქცია ჩაარდა. დეპუტატის წარმომადგენლობაში სამედიცინო აქცია კლინიკა „ახალ მზერამ“ გამართა. ოფთალმოლოგებმა პაციენტებს გამოკვლევების ჩატარების შემდეგ კონსულტაცია გაუწიეს.

მოქალაქეებისთვის ჩატარდა რეფრაქციული ანომალიების კორექცია (ახლომხედველობა, შორსმხედველობა და ასტიგმატიზმი) LAშIK მეთოდით, რომელიც მხედველობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა. ასევე მათ თვალის სხვადასხვა დაავადებების დიაგნოსტიკა ჩაუტარდათ.

როგორც გულია გოცირიძემ აღნიშნა, მისი ინიციატივით თვალის დაავადებების უფასო გამოკვლევის აქციას დიდი გამოხმაურება ქონდა, რის გამოც მაჟორიტარმა კიდევ ერთი აქციის ჩატარება გადაწყვიტა.

„ჩვენს მიერ ორი კვირის წინ ჩატარებულ აქციას, ბევრი ადამიანი გამოეხმაურა. მსურველო იმდენად ბევრი იყო, რომ გადავწყვიტეთ, აქცია გაგვემეორებინა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მომართვიანობა არის მაღალი და შეიძლება კიდევ ერთის დამატება გახდეს საჭირო. ამას გარდა, ჩვენ ვითანამშრომლებთ კლინიკა ,,ახალ მზერასთან“ და ჩვენს მიერ გაგზავნილ პენსიონერებს კვირაში ერთ დღეს კლინიკაში უფასო კვლევა ჩაუტარდებათ“, – განაცხადა გულია გოცირიძემ.

33. გულია გოცირიძის ინიციატივით გლდანში დევნილებისთვის ფართების დაკანონებაზე მუშაობა დაიწყო

18 მაისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, გულია გოცირიძე ხიზაბავრის ქუჩის N 41 მცხოვრებ დევნილებს შეხვდა. აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები დევნილები წლების განმავლობაში ფართები დაკანონებას ითხოვდნენ. გულია გოცირიძის ინიციატივით, დევნილებთან შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ,

რომლებმაც ფართების დაკანონების შესაძლებლობაზე იმსჯელეს და მოსახლეობას დახმარებას დაპირდნენ.

როგორც გულია გოცირიძემ აღნიშნა, დევნილებს ფართების დაკანონების პრობლემა წლების განმავლობაში აწუხებთ და ახლა მაჟორიტარის შუამდგომლობით ამ საკითხის გადაწყვეტის საშუალება მიეცათ. გულია გოცირიძის თქმით, როგორც რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, მისი შესაძლებლობების ფარგლებში, პრობლემის აღმოსაფხვრელად ყველაფერს გააკეთებს.

34. გლდანის რაიონში დასაქმების ფორუმი გაიმართა

17 მაისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატების ოთარ გრიგოლიას, ქეთევან ჯოხაძის, გულია გოცირიძის და შალვა ოგბაიძის ინიციატივით, გლდანის „პროფესიული მომზადების ცენტრის“ შენობაში დასაქმების ფორუმი გაიმართა. ფორუმს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს წევრები, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარიამ ბეზარაშვილი, განათლების და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე დაესწრნენ.

მაჟორიტარმა დეპუტატებმა იმედი გამოთქვეს, რომ მაქსიმალურად ბევრი ადამიანი მოახერხებს მათთვის საინტერესო ვაკანსიების მოძიებას. მათ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთა ერთად მოსახლეობას ფორუმის მიზნებზე მიაწოდეს ინფორმაცია და პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტებზე ისაუბრეს.

დღევანდელ ფორუმში დაახლოებით 20 კომპანიის წარმომადგენელი მონაწილეობდა. გლდანის რაიონის მოსახლეობა პირადად გაეცნო ვაკანსიებს და მათი ინტერესის შესაბამისი განაცხადები შეავსეს.

ეს რიგით მესამე დასაქმების ფორუმია თბილისში, რომელიც თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა.

35. გულია გოცირიძე 115-ე საჯარო სკოლას ეწვია

08 მაისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე 115-ე საჯარო სკოლამ 40 წლის აღსანიშნავ ღონისძიებას დაესწრო, რომელზეც ასევე იმყოფებოდნენ ამავე სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები.

გულია გოცირიძემ მოსწავლეებს და პედაგოგებს სკოლის იუბილე მიულოცა.

„115-ე საჯარო სკოლას ვუსურვებ წინსვლას. მეამაყება, რომ ეს წარმატებული სკოლა ჩემს სამაჟორიტარო ოლქშია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათ მხარში დავუდგე და პრობლემების გადაწყვეტაში დავეხმარო,“- განაცხადა დეპუტატმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, თბილისის რამდენიმე სკოლის დირექტორი, აფხაზეთის ომის ვეტერანები და სასულიერო პირები.

36. გულია გოცირიძის ინიციატივით, თვალის დაავადებების უფასო გამოკვლევები ჩატარდა

08 მაისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის ინიციატივით, მოქალაქეთათვის თვალის დაავადებების უფასო გამოკვლევები ჩატარდა.

სამედიცინო აქცია კლინიკა „ახალ მზერაში“ გაიმართა, სადაც ოფთალმოლოგებმა პაციენტებს გამოკვლევების ჩატარებისშემდეგ კონსულტაცია გაუწიეს.

მოქალაქეებისთვის ჩატარდა რეფრაქციული ანომალიების კორექცია (ახლომხედველობა, შორსმხედველობა და ასტიგმატიზმი) LASIK მეთოდით, რომელიც მხედველობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა. ასევე მათ გაიარეს შემოწმება მხედველობის სიმახვილის განსაზღვრაზე, სათვალის შერჩევაზე, თვალშიდა წნევის გაზომვაზე, თვალის ფსკერის დათვალიერებაზე, კატარაქტაზე, რეფრეაქციული მანკებსა და გლაოკომის დიაგნოსტიკაზე.

„მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, სამწუხაროდ, როგორც ზრდასრულ ასაკში ასევე მოზარდებში მეტად აქტუალურია. ეს გამოკლევაც სწორედ ამგვარი დაავადებების გამოსავლენად ტარდება. იმედს ვიტოვებ, რომ დროული და საფუძვლიანი შემოწმებით, ჩვენ მრავალი ადამიანის დახმარებას შევძლებთ“,- განაცხადა გულია გოცირიძემ.

37. გულია გოცირიძემ ახალი კანონი მოსწავლეებს გააცნო

01 მაისი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატი გულია გოცირიძე, მომღერალ ზურაბ ხაჩიძესთან და მამა დავით აფციაურთან ერთად ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის

ამოქმედებასთან დაკავშირებით, გლდანის რაიონში მდებარე სკოლის მოსწავლეებს შეხვდა და მათ თამბაქოს მავნებლობაზე ესაუბრა.

შეხვედრას, რომელიც გლდანის მოსწავლეთა პროფესიული მომზადების კოლეჯში გაიმართა, გულია გოცირიძის სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრები მოსწავლეები და აღნიშნული კოლეჯის სტუდენტები, ასევე სკოლის პედაგოგები და კოლეჯის დირექტორი ესწრებოდნენ.

დეპუტატმა მოსწავლეებთან საუბრისას ახალი კანონის ამოქმედების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

"დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ძალაში შედის თამბაქოს შესახებ კანონი და თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იკრძალება. სწორედ, დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზანია თამბაქოს მავნებლობასთან დაკავშირებით ახალგაზრდების მეტად ინფორმირება,“– განაცხადა გულია გოცირიძემ.

38. გულია გოცირიძის შუამდგომლობით, შიდსსა და C ჰეპატიტზე უფასო გამოკვლევის აქცია ჩაატარა

20 აპრილი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გულია გოცირიძის ინიციატივით, რაიონის მოსახლეობისთვის აქცია ,,გაიგე მეტი შენი ჯანმრთელობის შესახებ“ ჩატარდა. აქციის ფარგლებში 120 მოქალაქეს C ჰეპატიტსა და შიდსის ვირუსზე უფასო გამოკვლევები ჩაუტარდა.

,,დღეს გლდანის მოსახლეობისთვის და არა მხოლოდ მათთვის, C ჰეპატიტისა და შიდსის ვირუსზე უფასო გამოკვლევები ჩავატარრეთ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ ამ მხრივ წარმატებული ნაბიჯები გადადგა, აღნიშნული დაავადაბებზე წელიწადში ერთხელ მაინც საჭიროა ანალიზის გაკეთება. ამჯერად გადავწყვიტეთ, გლდანში, კიდევ ერთხელ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად ჩაგვეტარებინა აღნიშნული აქცია, რათა მომავალში ერთი ადამიანის სიცოცხლეც კი არ აღმოჩნდეს რისკის ქვეშ. მოთხოვნა დიდია, ხალხის ნაკადი არ შემწყდარა და ვფიქრობთ, ამ კუთხით ჯანდაცვის სამინისტროსთან გავაგრძელოთ თანამშრომლობა,“– აღნიშნა გულია გოცირიძემ.

გამოკვლევა თავად დეპუტატმაც ჩაიტარა.

39. გულია გოცირიძემ სამაჟორიტარო რაიონის მცხოვრებლებს აღდგომის დღესასწაული მიულოცა

05 აპრილი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ რაიონში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პენსიონერები და სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრი სტუდენტები მოინახულა.

საკრებულოს წევრმა, მათ სააღდგომო ნობათი გადასცა და დამდეგი ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა.

40. გულია გოცირიძის ინიციატივით გლდანში პარკი გაშენდება

26 მარტი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ, თბილისის მერთან, კახა კალაძესთან, პარლამენტის გლდანის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან ლევან კობიაშვილთან და გლდანის გამგებელთან, ბექა მიქაუტაძესთან ერთად, გლდანის მე-6 მიკრო რაიონში მდებარე პარკი დაათვალიერა და მისი განახლების გეგმას ადგილზე გაეცნო. გულია გოცირიძის განმარტებით, აღნიშნული პარკის რეაბილიტაცია მისი წინასაარჩევნო დაპირება იყო და დეპუტატი ამომრჩევლისთვის მიცემულ დაპირებას ასრულებს. უახლოეს მომავალში გლდანს კიდევ ერთი გასართობი და დასასვენებელი პარკი შეემატება.

41. გულია გოცირიძემ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები მოინახულა

21 მარტი 2018

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე მის სამაჟორიტარო ოლქში მდებარე მე–200 საჯარო სკოლას ეწვია, სადაც დაუნის სინდრომის მქონე შვიდი ბავშვი სწავლობს. დეპუტატი მათ მიერ მომზადებულ წარმოდგენას დაესწრო, მათი ნამუშევრების გამოფენა დაათვალიერა და ბავშვებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

42. გულია გოცირიძის ინიციატივით მოქალაქეებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ

20 მარტი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გულია გოცირიძის ინიციატივით, მის სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ 31 მოქალაქეს უფასო სამედიცინო გამოვკლევები ჩაუტარდა. კვლევები სამედიცინო ცენტრ "მედიკში" ჩატარდა, რის შემდეგაც მოქალაქეებს შესაბამისმა სპეციალისტებმა კონსულტაციები გაუწიეს და მკურნალობა დაუნიშნეს.

43. გულია გოცირიძემ მრავალშვილიან დედებს რვა მარტი მიულოცა

08 მარტი 2018

თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ მის სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა. დეპუტატმა ქალბატონებს წარმატებები უსურვა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

44. გლდანის რაიონის სკოლის მოსწავლეებს პირველადი დახმარების ტრენინგი ჩაუტარდათ

21 თებერვალი 2018

გლდანის რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტრენინგ ცენტრში, ექსტრემალურ სიტუციაში პირველადი დახმარების უნარების ტრენინგი ჩაუტარდათ.

ღონისძიება თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივითა და გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის ორგანიზებით ჩატარდა. მაჟორიტარის თქმით, ტრენინგში მონაწილეობის სურვილი ბევრმა მოსწავლემ გამოთქვა, რის გამოც ტრენინგების კურსი გაგრძელდება.

45. გულია გოცირიძე: „2018 წელს გლდანში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება“

26 დეკემბერი 2017

თბილისისსაკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ მოსახლეობასდედაქალაქის მთავარ საფინანსო დოკუმენტში გაწერილი ის პროგრამები გააცნო, რომელთა განხორციელებაც გლდანისრაიონში 2018 წელს დაიწყება. შეხვედრას რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძეც ესწრებოდა.

როგორც გულია გოცირიძემ განაცხადა, მომავალი წლის ბიუჯეტი გლდანში საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგებისსისტემის მოწესრიგებას, დანგრეული სახლების

მცხოვრებთათვის კომპენსაციის გაცემას და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისპროგრამის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდება.

გარდა ამისა, დეპუტატის თქმით, რაიონში სხვადასხვა სოციალური პროგრამები განხორციელდება. მისივე განცხადებით, მომავალი წლის თბილისის ბიუჯეტში გლდანის რაიონში თანხები სხვადასხვა სპორტული, კულტურული და ახალგაზრდულიღონისძიებებისთვისაც არის გამოყოფილი.

როგორც გულია გოცირიძემ განაცხადა, 2018 წელს გლდანში არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტიგანხორციელდება.

- **გლდანის ლუწ მიკრო რაიონში ჩატარებული სამუშაოები**

			თანხა
	გზების კაპიტალური შეკეთება		
1	გლდანის მე-6 მ/რ, კორპ N10-ის მიმდებარედ	1568,00	97120,22
2	გლდანის მე-2 მ/რ კორპ N29-ს მიმდებარედ	843,00	30512,19
3	გლდანის მე-4 მ/რ კორპ N 109	1108.70	35506,11
4	გლდანის მე-4 მ/რ კორპ N93	870	28755,46

5	გლდანის მე-4 მ/რ კორპ N96ა	991	54514,16
6	მაისურაძის ქუჩა (მიმდინარე)	11000	600000,00
	გზების შეკეთება		
1	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N1- N2 - N6-ის მიმდებარედ,	440	14436,99
2	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N5 მიმდებარედ,	392,5	816,46
3	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N7 უკანა ეზო,	25	724,52
4	გლდანის მე-4 და მე-6 მ/რ-ების დამაკავშირებელი გზა,	80	2224,31
5	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N14 – N15 მიმდებარედ,	312	8385,38
6	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N30 – N31 – N32 მიმდებარედ,	125	3373,04
7	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. 20 მიმდებარედ,	579	15114,93
8	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N2, მე-3 და მე-4 სადარბაზოებს შორის,	96,00	2204,3
9	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N2- დან მე-3 კორპუსამდე მისასვლელი ბილიკი,	125	4446,24
10	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N6 – N7- ს შორის,	15,7	5941,22
11	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N24 ეზო და N26- თან მისასვლელი გზის მონაკვეთი,	519	14675,13
12	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N30- N30ა - N32-ის	55	1433,61

	მიმდებარედ,		
13	გლდანის მე-6 მ/რ, კორ. N23, მე-3 და მე-4 სადარბაზოებს შორის.	83	3019,33
16	გლდანის IV მ/რ კორ. 105-დან IV მ/რ კორ. 92ბ-მდე	113	5256,90
	გზების მოხრეშვა		
1	კობერიძის ქუჩა	113	5471,03

	ფიტნეს ტრენაჟორები	
1	გლდანის 2 მ/რ კორპ N38 სკვერში	12878,59 ლარი
2	გლდანის 2 მ/რ კორპ N28 მიმდებარედ	16333,33 ლარი
3	გლდანის ა მ/რ კორპ N66 მიმდებარედ	16333,33 ლარი
	სკვერი	
1	გლდანის ა მ/რ, კორპ N 1-ის მიმდებარედ	15926,90 ლარი
2	გლდანის ა მ/რ, კორპ N 58-68 -ის მიმდებარედ	16055,43 ლარი
3	გლდანის 2 მ/რ, კორპ N 31-ის მიმდებარედ	17773,09 ლარი
4	გლდანის 4 მ/რ კორპ |N 93-94-ის მიმდებარედ	18458,82 ლარი
5	ვასაძის ქუჩა, ახმეტელის თეატრის მიმდებარედ	174266,30 ლარი
10	გლდანის 2 მ/რ კორპ N 41-42-43 -ის მიმდებარედ	92003,59 ლარი
11	გლდანის 2 მ/რ კორპ N 45ა-ს მიმდებარედ	60509,28 ლარი

	დასასვენებელი პავილიონი (ფანჩატური)	
1	გლდანის ა მ/რ კორპ N54-ის მიმდებარედ	3300,34 ლარი
2	გლდანის მე 4 მ/რ კორპ N89-90-91 ის მიმდებარედ	3435,73 ლარი
3	გმირკურსანტთა მე-3 შესახვევი N1-2-3 -ის მიმდებარედ	3300,34 ლარი
4	გლდანის მე 4 მ/რ კორპ N96ა-ს მიმდებარედ	3435,73 ლარი
5	გლდანი მე 2მ/რ, კორპ N45-ის მიმდებარედ	3590,76 ლარი
	კიბეები	
1	გლდანის 2 მ/რ კორპ N38-ს მიმდებარედ კიბის და შშმ პირებისთვის პანდუსის მოწყობის სამუშაოები	მიმდინარე
2	გლდანის მე-4 მ/რ კორპუსი N96ბ-100-101-ს შორის კიბის მოწყობის სამუშაოები	მიმდინარე
3	გლდანის მე-6 მ/რ , მე-7-20 კორპუსებს შორის მდებარე სკვერის მიმდებარედ არსებული კიბის რეაბილიტაცია	მიმდინარე
4	გლდანის ა მ/რ კორპ N1 მიმდებარედ კიბისა და ბილიკის რეაბილიტაცია	მიმდინარე
5	გლდანის მე-4 მ/რ 103-104 მიმდებარე კიბის რეაბილიტაცია	მიმდინარე
6	გლდანის ა მ/რ კორპN50 ხიზანიშვილის ქუჩაზე ჩამავალი(ცენტრალურ გაჩერებაზე) კიბის რეაბილიტაცია	მიმდინარე
7	გლდანის მე-8 მ/რ კორპ N7 მიმდებარედ კიბე-ბილიკის რეაბილიტაცია	მიმდინარე
8	გლდანის ა მ/რ 65 კორპუსის მიმდებარედ კიბის რეაბილიტაცია	მიმდინარე
	მოაჯირი	
1	გლდანის მე 6 მ/რ N 132 საჯარო სკოლის მიმდებარედ 59,4 გრძ/მ	3404,51 ლარი
	სპორტული მოედნების მოწყობა	
1	გლდანის ა მ/რ კორპ N3 მიმდებარედარსებულის სპორტული მოედნის	22804,57 ლარი

	რეაბილიტაციების სამუშაოები	
2	გლდანის მე-6 მ/რ კორპ N31-32 მიმდებარედ ახალი სპორტული მოედნის მოწყობა	მიმდინარე
	სპორტული მოედნების შეკეთება	
1	ქერჩის ქუჩა N6 -ის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	2386,19 ლარი
2	გლდანის 4მ/რ, კორპ N 92ა-ს მიმდებარე სპორტული მოედნის შეკეთება	3512,07 ლარი
3	გლდანის 4 მ/რ, კორპ N 109ა-ს მიმდებარედ სპორტული მოედნის შეკეთება	2966,88 ლარი